რამაზ პატარიძე

# ასომთავრული





*შენდაჩემის*
*ნათელ ხსოვნას*

[illegible]

[illegible]

# [illegible]

1999

Ⴐამაზ
Ⴙხედლიძე

# Ⴀსომთავრული

1999

**Მჭედლიძე, Თამაზ.**

Ასომთავრული (წერილების კრებული). — 1999. — 454 გვ., 978 ილ.

Წიგნი შესდგება სხვადასხვა დროს დაწერილ ნაკვეთებისაგან. Დიდი რაოდენობით მოყვანილია ტაბულები და ილუსტრაციები, ავტორის მიერ დამზადებული შრიფტების ნიმუშები.

Განკუთვნილია ყველასათვის, ვისაც აინტერესებს ქართული დამწერლობის მომავალი და მისი სრულყოფილი გამოყენების შესაძლებლობა.

*Ამ წიგნიდან ნებისმიერი სურათის, ტაბულის ან ტექსტის ნაწილის გადაბეჭდვის დროს საავტორო უფლებების ნიშნის (© Თამაზ Მჭედლიძე) მითითება აუცილებელია.*

© Თამაზ Მჭედლიძე, 1999



*პატივცემულო მკითხველო!*

*ჩვენი დამწერლობის ბუნებრივი განვითარების სურვილი და მის მომავალ ბედზე წუხილი მამოძრავებდა ამ წიგნზე მუშაობის ოცი წლის მანძილზე. და გადმოგცემთ რა წინამდებარე ნაშრომს, გთხოვთ ერთად-ერთს – მიუკერძოებელ შეფასებას.*

*მეცნიერული სახის შესაძლო ხარვეზების გამო მე, ექიმი, ვუხდი ბოდიშს ენათმეცნიერებს და საშრიფტო საქმის ხელოვნებს. მაგრამ, როგორც ამბობდნენ ძველი რომაელები, “feci, quod potui, faciant meliora potentes – გავაკეთე რაც შევძელი, ვისაც შეუძლიან, გააკეთონ უკეთესად”.*

*1999 წლის ნოემბერი.*

# მოკლე სარჩევი

*წინასიტყვაობა*..........9
**ასომთავრული**..........**11**
**ტაბულები**..........**145**
**ხელითწერა**..........**319**
**დღესასწაულები**..........**328**
**დანართი**..........**355**
*საგნობრივი საძიებელი*..........411
*ილუსტრაციების და ტაბულების სია*..........413
*ლიტერატურა*..........432

# სარჩევი


***Წინასიტყვაობა*** **.......................................................... 9**

**Ასომთავრული** **..........................................................11**

Მთავრული ასოების აღდგენის აუცილებლობა ........................12

Მთავრულასოებიანი შრიფტების ხმარება ..............................29

Ქართული ანბანის წარმოშობის საკითხისათვის .....................34

Საიდუმლო ანბანები ..................................................................46

Ქართული წერის განვითარება ..................................................48

Ასო “Ⴍ”-ს დახასიათება ..............................................................60

Ხმარებიდან ამოღებული ასოების აღდგენა................................61

Ქართული ასოების გრაფიკა .......................................................65

Სასტამბო ბეჭდური ასოების ტერმინოლოგია ..........................78

Სასტამბო ხელნაწერი ასოები ......................................................87

Სასტამბო დეკორატიული ასოები..............................................90

Ქართული შრიფტის გაუმჯობესება..........................................99

Ქართული საშრიფტო გარნიტურის შექმნის ტექნოლოგია .....120

Ზოგადი დასკვნები ....................................................................145–ა

**Ტაბულები** **.............................................................145**

Ქართული ანბანის გრაფიკა .....................................................146

Ქართული ასოების ევოლუცია.................................................180

Ქართული ანბანის ტაბულები .................................................220

ქართული ანბანის რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობები ......242
ქართული ასოების სახეობები ..............................................247
ქართული საშრიფტო გარნიტურები .....................................285
**ხელითწერა ..............................................................319**
ხელითწერა .........................................................................320
**დღესასწაულები.........................................................328**
ქართული ეროვნული კალენდარი .........................................329
საქართველოს დღესასწაულები ............................................337
საქართველოს ახალი დროშა ................................................342
საქართველოს ახალი გერბი ..................................................351
საქართველოს ახალი სიმბოლიკა..........................................355-ა
საქართველოს სამხედრო სიმბოლიკა....................................355-ბ
**დანართი ...................................................................355**
თავსართები და ბოლოსართები.............................................356
საწყისი ასოები ....................................................................378
ჩარჩოები .............................................................................383
მონოგრამები........................................................................399
ქართული იარაღი..................................................................401
***საგნობრივი საძიებელი..........................................411***
***ილუსტრაციების და ტაბულების სია..........................413***
***ლიტერატურა...........................................................432***

# Წინასიტყვაობა

Შორეულ 1979 წელს სრულიად შემთხვევით ხელში ჩამივარდა Აკაკი Შანიძის წიგნი *“სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები”*, სადაც ლაპარაკი იყო მთავრულ ასოების აღდგენაზე ქართულ დამწერლობაში. Ასომთავრულის ხმარება მომეჩვენა იმდენად ბუნებრივ მოვლენად, რომ ძალიან გამიკვირდა კიდეც, რატომ ადრე არავის არ მოსვლია ეს აზრი. Ამის გამოსარკვევად, ამ დროიდან დაწყებული, შევუდექი საკითხის შესწავლას და ჩემი ნაფიქრალების ჩაწერას. Გარდა ამისა, შევადგინე დიდი რაოდენობით ტაბულები და ნახატები, რომლებიც ასახავენ ამ პრობლემის არსს. Აგრეთვე შევქმენი ჩემეული კომპიუტერული საშრიფტო გარნიტურები მთავრული, ნუსხური და მხედრული ასოებით.

Წინამდებარე წიგნი წარმოადგენს ამ ჩანაწერების და ტაბულების კრებულს. Უნდა ითქვას, რომ პროფესიით ვარ ექიმი და საშრიფტო საქმესთან არა მაქვს არავითარი კავშირი. Დასაშვებია, რომ ტაბულებში და ნახაზებში არის გარკვეული ხარვეზები. Განსაკუთრებით ეს ეხება ჩემს მიერ გაკეთებულ შრიფტებს, რომლებშიც ბევრი მხატვრული და ტექნიკური ნაკლია. Მაგრამ ერთად-ერთი, რაშიც არ მეპარება ეჭვი, არის ზოგადი დასკვნები მთავრული და ნუსხური ასოების აღდგენის აუცილებლობაზე უახლოვეს მომავალში და მათ ყოველდღიურ ხმარებაზე მხედრულთან ერთად.

ამის გასაკეთებლად არ არის აუცილებელი სახელმწიფოს დახმარება, რომელსაც ამისთვის არ სცალიან. ყოველივე ამის შექმნა და დანერგვა შეუძლიათ ენთუზიასტებს და მამულიშვილებს. სწორედ მათთვის არის განკუთვნილი ეს წიგნი. გულგრილებს კი ვთხოვ არ შეიწუხონ თავი ამ წიგნის კითხვით.





1. Ëçàåðó êè àñ í ääèñ àöãââìèñ àó-úè êäá ê íáà.
2. Ëçàåðó êàñ í ääèàìè  i ðèôòääèñ þëàðääà.
3. Õàð çó êè  àìáàìèñ  üàðë í i íáèñ ñàéè çþèñà çåèñ.
4. Ñàèãóë ê í àìáàìääè.
5. Õàð çó êè üäðèñ âàìåè çàðääà.
6. Àñ í "Ó"-ñ ãàþàñèà çääà.
7. Þëàðääèãàì  àë í åàðãìè êè  àñ í ä-áèñ àöãââìà õàð çó ê  àìáàì i è.
8. Õàð çó êè àñ í ääèñ âðàôèéà.
9. Ñàñòàëá í  ááýãóðè àñ í ääèñ òäð-ëèì í ê íâèà.
10. Ñàñòàëá í  þä ê ìàüäðè àñ í ääè.
11. Ñàñòàëá í  ãäé í ðàòèó êè àñ í ääè.
12. Õàð çó êè  i ðèôòèñ âàóëÿ í ääñä-áà.
13. Õàð çó êè  ñà i ðèôòí   âàðìèòó-ðèñ i äõëìèñ òäõì í ê íâèà.

# 1 *Მთავრული ასოების აღდგენის აუცილებლობა*

Ცნობილია, რომ თანამედროვე ქართულ წერაში იხმარება ხელოვნურად შექმნილი მთავრული ასოები, რომლებიც პირველად შემოღებულ იქნა გაზეთ *"Დროების"* მიერ 1866 წელს რუსული დამწერლობის ზეგავლენით. Მანამდის კი იხმარებოდა ჭეშმარიტი მთავრული ასოები მრგვლოვანის სახით.

Ამ პრობლემის გასაგებად საჭიროა პატარა ექსკურსი ისტორიაში. Თანამედროვე დამწერლობებში ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, რუსულ ფუძეებზე განირჩევა სასტრიქონო და საზედაო (მთავრული) ასოები. Ეს სხვაობა გამომდინარეობს ჩვეულებრივი ასოების და ინიციალების დაპირისპირებიდან (ლათინური დამწერლობის ქვეყნებში მე-11 — 15 საუკუნეებიდან).

სასტრიქონო ასოები აგრძელებენ შუასაუკუნეების კურსივის წარმოშობის მინუსკულური წერის ტრადიციებს. Მინუსკულური (*ლათ.* minusculus პატარა) წერა ხმარობს მხოლოდ სასტრიქონო ასოებს. Იგი შეიქმნა როგორც სწრაფწერის და კურსივის შედეგი მე-8 საუკუნის ბოლოს (ლათინურ ანბანის ფუძეზე). Ბერძნული სწრაფწერა კი შეიქმნა მე-9 ს.

Მე-13 საუკუნიდან ლათინურ დამწერლობაში იწყება მაჯუსკულური და მინუსკულური ასოების ხმარება სხვადასხვა ფუნქციით.

საზედაო (მთავრული) ასოები სასტრიქონოებისაგან განირჩევა სიმაღლით, ზოგ შემთხვევაში კი მოხაზულობითაც (*ბერძ.* Αα, Γγ, Δδ; *ლათ.* Aa, Bb, Gg;). Საზედაო ასოები ატარებენ არა მარტო ასოების ხასიათს, არამედ დეტერმინატივებისაც, აღნიშნავენ რა მათგან დაწყებულ სიტყვას როგორც წინადადების დაწყებას, საკუთარ სახელს,

სხვადასხვა სათაურების ნაწილებს. გერმანულ დამწერლობაში საზედაო ასოებით წერენ არსებით სახელებს, ინგლისურში — ყველა სრულმნიშვნელოვან სათაურებს. საზედაო ასოები ორიენტირებულია ლათინური კაპიტალური მონუმენტური მაჟუსკულური წერის ფორმებზე.

მაჟუსკულური წერა (*ლათ.* majusculus ცოტაოდენ მეტი) შედგება მარტო საზედაო ასოებისაგან. ბერძნული მაჟუსკულური წერა წარმოდგენილია კლასიკური მონუმენტური ბერძნული ანბანით, რომელიც დამკვიდრდა ათენში ძვ. წ. მე-7 საუკუნეში. ლათინური მაჟუსკულური წერა წარმოდგენილია მონუმენტური ლათინური ანბანით (ძვ. წ. მე-6 ს.).

სათაურებში, წერტილის შემდეგ ტექსტის ნაწილის გამოსაყოფად, საკუთარ სახელებში საზედაო ასოების ხმარება ლათინურ წერაში დაიწყო მე-13 , სლავურ წერაში კი მე-16 საუკუნეში.

ახლა გადავხედოთ ქართული დამწერლობის განვითარებას. ქართული დამწერლობა წარმოიშვა წარმართულ ხანაში, რაც დაამტკიცა რამაზ პატარიძემ თავის ბრწყინვალე მონოგრაფიაში *"ქართული ასომთავრული"*. ქართული დამწერლობის აქამდე აღმოჩენილ უძველეს ნიმუშად ითვლება არმაზის ნეკროპოლში აღმოჩენილ ვერცხლის ლანგარზე ახ. წ. 70 წ. შესრულებული პიტიახშის ინიციალები. დენზელი სტელაზე იმავე ნეკროპოლიდან შესრულებულია 75 წ. წარწერა ნეკრესის ნაქალაქარში აღმოჩენილ საფლავის ქვაზე ამოკვეთილია 1–2 სს. ირწო-ციანეთში, სოფელ ძავათში არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილ ქვა-ჯვარზე ასომთავრული ანბანი ამოკვეთილია 367 წ. პალესტინაში პეტრე იბერიელის მიერ მე-5 საუკუნეში აშენებულ მონასტრის მოზაიკური წარწერა დათარიღებულია 430 წლით.

ეს ასოები მოხაზულობით მრგვალია და სიმაღლით ისინი თანაბრები არიან (იწერებიან ორ ხაზს შუა). დროთა განმავლობაში ზოგ ასოს ჩამოუგრძელდა ვერტიკალური ხაზი, ზოგს კი შეკრული თავი გაეხსნა. დაახლოვებით მე-8 საუკუნეში "მრგვლოვანიდან" წარმოიშვა ე. წ. "ხუცური", რომელიც წარმოადგენს წერის კუთხოვან სახეობას და რომელშიც ოთხი სხვადასხვა სიმაღლის ასოთა ჯგუფია და ასოები ოდნავ მარჯვნივაა გადახრილი. განვითარების შემდეგ ეტაპზე (მე-8 ს.) ასოები დამრგვალდა, გასწორდა და გამარტივდა, რაც განაპირობა მათი გადაბმულობისაკენ მიდრეკილებამ. ამასთა-

ნავე ასოებმა შეინარჩუნეს ოთხხაზოვნობა. წარმოიშვა ქართული წერის მესამე სახეობა — "მხედრული", რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს სწრაფწერის ნაირსახეობას.

ზემოხსენებულიდან ნათლად ჩანს, რომ ქართულმა წერამ თავის განვითარებაში იგივე გზა განვლო, რაც ბერძნულმა და ლათინურმა. ქართული წერის სამივე სახეობა შემდგომში პარალელურად იხმარებოდა. საეკლესიო წიგნები ხუცურით იწერებოდა, მრგვლოვანი კი იხმარებოდა სათაურებში, ინიციალების და აბზაცების დასაწყისად.

ტაბულა 1. ასოების შემოღების თარიღები

| | მთავრული | ნუსხური | გაკრული | მთავრულის და ნუსხურის ერთდროული ხმარება (მთავრულის ხმარება ორთოგრაფიული დანიშნულებით) |
|---|---|---|---|---|
| ბერძნული | ძვ. წ. 9 ს. | 2 ს. | 3 ს. | 13 ს. |
| ლათინური | ძვ. წ. 7 ს. | 2 ს. | 3 ს. | 13 ს. |
| ქართული | ძვ. წ. 5 ს. | 8 ს. | 8 ს. | 14 ს. |
| სომხური | ახ. წ. 5 ს. | 13 ს. | 19 ს. | 14 ს. |
| სლავური | 10 ს. | 14 ს. | 15ს. | 16 ს. |

© თამაზ მჭედლიძე

მრგვლოვანი და მხედრული ასოებით არის დაბეჭდილი ერთ-ერთი პირველთაგანი ქართული ნაბეჭდი წიგნი *"ქართული ენის გრამატიკა"* (რომი, 1643 წ.), აგრეთვე თბილისში ვახტანგის სტამბაში დაბეჭდილი წიგნები *"კონდაკი"* და *"ლოცვანი"* (1710 წ.), გაიოზ რექტორის *"ანბანი. ლოცვანი. მოკლე საქრისტიანო სწავლა"* (მოზდოკი, 1797 წ.). მრგვლოვანის მთავრულებად (საკუთარი სახელების, წერტილის შემდეგ ახალი წინადადების დასაწყისი ასოები) გამოყენებით დაიწერა *გეორგიევსკის ტრაქტატი*, ანტონ ბაგრატიონის *"წყობილსიტყვაობის"* სხვადასხვა ნუსხები, მე-19 ს. პირველ ნახევარში დაბეჭდილი წიგნები *"განწესება შინაგანისა საქართველოჲსა მართვისა"* (1801 წ.), თეიმურაზ ბაგრატიონის *"ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ე.ი. გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოჲსა"* (1848 წ.). ამავე წესითაა შესრულებული თეიმურაზ ბაგრატიონის ხელნაწერი *"განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა"*.

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ



სურ. **2**. Ⴀნტონ Ⴁაგრატიონი. "Ⴜყობილსიტყვაობა".
*Ⴂადაწერილია 1781 წელს Ⴈოსაფის მიერ*



Სურ. 3. Ანტონ Ბაგრატიონი. “Ტკბილსიტყვაობა”.
*Გადაწერილია 1768 წელს Გიორგი Ალექსი-Მესხიშვილის მიერ*



Სურ. 4. Ერეკლე Მეფის წერილი Რუსეთის იმპერატორ Ეკატერინე II (1784 წ.)

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ



სურ. 5. Ⴂეორგიევსკის ტრაქტატი (დასაწყისი) (1783 წ. )



სურ. 6. Ⴂეორგიევსკის ტრაქტატი (1783 წ. )



**სურ. 7.** Ანტონ Ბაგრატიონი. "Ჭყობილსიტყვაობა".
*Გადაწერილია 1795 წელს Ნეოფიტეს მიერ*



**სურ. 8.** Ანტონ Ბაგრატიონის "Ჭყობილსიტყვაობის" გადამწერის Ნეოფიტეს ანდერძი (1795 წ.)

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ



სურ. 9. Ⴀნტონ Ⴁაგრატიონის "Ⴜყობილსიტყვაობის" გადამწერის Ⴃავით Ⴐექტორ Ⴀლექსიძის ანდერძი (1800 წ.)



სურ. 10. Ⴋარი Ⴁროსეს ხელწერა



სურ. **11.** “Ჲანწესება შინაგანისა საქართველოჲსა მართვისა” (1801 წ.)



სურ. **12.** Ფრაგმენტი Ჭარი Ჸროსეს სტატიიდან ჟურნალში “Journal Asiatique” 1832 წ.

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ

Ⴉეთილ-მსახურისა მეფისა ამის Ⴃავით აღმაშენებელისაგან არს აღშენებული ტრაპეზონტს პირისპირ ქალაქისა მის მაღალსა მთასა ზედა მონასტერი დიდი ლავრა სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა Ⴖუთის-მშობლის მიცვალებისასა და სახელსდებს Ⴑუმელის მონასტერი. ამა მონასტერსაცა შინა Ⴕართველთა მონაზონნი ყოფილან, აწ ბერძენთა უპყრიეს, დღესაც მოუშლელი არს მონასტერი იგი; მარადის მონასტერსა მას შინა გარდა სხვათა მესხურთა მონასტრისათა სამეოცდა ათნი მღვდელ-მონოზონნი არიან, და არიან მონასტერსა მას შინა მრავალნი ძველნი წიგნნი ქართულნი. მამულნი და შემოსავალნი მონასტერსა მას Ⴃავით მეფისა აღმაშენებელისა მიერ აქვს შეძინებულნი.

8. Ⴃიდი იგი ღირსი-ხსოვნისა Ⴃავითიან Ⴁაგრატოვანი მეფე Ⴇამარ ასული მეფისა Ⴂიორგი მესამისა ძისა მეფისა Ⴃიმიტრი პირველისა ძისა დიდისა მეფისა Ⴃავით მესამისა აღმაშენებელისა, მპყრობელი ყოვლისა საქართველოისა, რომელ არს · Ⴂიორგია: ესე Ⴀფხაზთა და ქართველთა და სხვათა.

Ⴞოლო ცხოვრებასა შინა Ⴇამარისასა წერილ-არს ესრეთ.

სურ. 13. Ⴇეიმურაზ Ⴁაგრატიონი. "Ⴈსტორია დაწყებითგან Ⴈვერიისა" (1848 წ.)




სურ. 14. Ⴇეიმურაზ Ⴁაგრატიონი. Ⴂანმარტება პოემა "Ⴅეფხისტყაოსნისა"




სურ. 15. ჭურნალ “Ცისკრის” თავფურცელი (1861 წ.)



სურ. 16. “კიტაიის სიბრძნე” (1784 წ.) (თავფურცელი)



Ⴋოწყალეო Ⴞელმწიფევ

Ⴃავით Ⴈესესძევ!

Ⴇქვენი Ⴂრამმატიკა რომ აღარ იშოვებოდა, და აღარც სხვებისა, საქმე ისე გაგვიძნელდა, რომ დედა-ენის სწავლებას ვეღარ გახერხებდით; — მეტი ღონე აღარ იყო, ჩემი შვილებისათვის მევე უნდა შემედგინა Ⴂრამმატიკა, როგორც მომეხერხებოდა და, აი, სტამბაში ვგზავნი კიდეც დასაბეჭდავად.

Ⴀმ წლის ოკტომბრის დამდეგს რომ ჩემს სახლში ბძანდებოდით, მაშინ გთხოვეთ და თქვენც დამრთეთ ნება, რომ პირველად თქვენი პატივისცემით სახსენებელი სახელი ვახსენო და თქვენს მეგობრობას ვუძღვნა ეს წიგნი, ეგება თქვენ-მეგობრობით და თქვენი მაგალითით სხვებმაც ქართული ენის სიყვარულით, მითხრათ ან შემომითვალოთ, რასაც ეს სიყვარული ჩემთვის სათქმელად გაგონებთ: ენას ერთგულებას გაუწევთ მაგითი და მე დიდად დამავალებთ.

თქვენი აღმატებულების
გულითადი პატივისმცემელი
Ⴃიმიტრი Ⴗიფიანი.

სოფ. ქვიშხეთი,
12 დეკემბერი 1881.

სურ. 17. Ⴃ. Ⴗიფიანი. “Ⴕართული ღრამატიკა” (1882 წ.)

Ამასადამე, საზედაო და სასტრიქონო ასოების ხმარებას საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდენ ჰქონდა კარგა ხნის ტრადიცია.

Გასული საუკუნის 60-ნ წლებში მთავრულების ხმარება ქართულ დამწერლობაში წავიდა მრუდე გზით. 1866 წელს დაარსდა გაზეთი *"Დროება"*, რომელმაც განიზრახა გაზეთის ფურცლებზე გაეტარებინა მთავრული ასოების ხმარების ორთოგრაფიული წესი. Მაგრამ იმის მაგივრად, რომ მთავრულებად გამოეყენებინათ ბუნებრივი მრგვლოვანი ასოები, აიღეს მხედრული ბეჭდური შრიფტი და მისგან გააკეთეს მთავრულები. Ე. ი., ოთხხაზოვანი მხედრული ასოები გადააკეთეს ორხაზოვნად, რის შედეგადაც ყველა ასო გახდა ერთი სიმაღლის. Შუა ტანის ასოები (ა, თ, ი, ო) გაიწელა და დაგრძელდა, მთლიანი ტანის ასოები (ქ, წ, ჭ) შეიკუმშა, ქვედა ტანის ასოები (გ, დ, ე, ვ, კ, ლ, ჟ, ტ, უ, ფ, ღ, ყ, ც, ჯ) ამოუდგნენ გვერდით ზედა ტანის ასოებს (ბ, მ, ნ, პ, რ, ს, შ, ჩ, ხ, ჰ). Მხედრულმა ასოებმა მიიღეს ხელოვნური დამახინჯებული სახე, რაც ნათლად ჩანს, მაგალითად, შემდეგი შედარებიდან:

ქართული წერა - ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲬᲔᲠᲐ

*"Დროების"* ამ აქტმა თავის მიზანს ვერ მიაღწია, რადგანაც ამ ახლად გაკეთებული ასოების ხმარება სათაურებში და ტიტულებში კი შეიძლებოდა, მაგრამ მათი ხმარება შიგ ტექსტში შეუძლებელი იყო. Ე. ი., ორთოგრაფიული მიზანი ვერ იქნა მიღწეული. Სამწუხაროდ, ამ ასოებმა სწრაფად მოიკიდეს ფეხი და იმდენად დამკვიდრნენ, რომ ამჟამად ფართოდ ხმარობენ მათ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში, წიგნებში და ხელნაწერ განცხადებებშიც კი.

Მთავრული ასოების უხმარებლობა თანამედროვე ქართულ დამწერლობაში ჰქმნის უამრავ მოუხერხებლობას. Ჩამოვთვლი რამოდენიმეს:

- Ძნელად საკითხავი, თვალების დამღლელი ერთგვაროვანი ტექსტი;
- Მკითხველისათვის ტექსტიდან საკუთარი სახელების სწრაფად გამოყოფის შეუძლებლობა. Რაც შეეხება უცხოურ საკუთარ სახელებს ან გეოგრაფიულ სახელწოდებებს, სრულებით ძნელია სწრაფად გაგება, რაზეა ლაპარაკი ტექსტში;

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ

- Ⴀბრევიატურების ტექსტში ხმარების შეუძლებლობა. სხვა ენებში (გერმანულში, ინგლისურში, რუსულში და ა.შ.) ხომ ფართოდ იხმარება ასეთი შემოკლებები. Ⴀრსებობს კიდეც ვრცელი *"Ⴘემოკლებათა ლექსიკონები"*.

Ⴀმ სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება. Ⴇუ რამდენად უფერულია უმთავრულო ტექსტი, ნათლად ჩანს ქვემოთ მოყვანილი ტექსტის ფრაგმენტიდან:

ამბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია ინგლისში... საქართველო ამჯობინებს შექსპირს დედანში ან მაჩაბლის და პასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... საქართველო, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირი, უნდა იყოს ბოროტებისათვის დახურული სივრცე ... აი რატომ გაზის გამოყენება თბილისში იყო მკვლელობა.

Ⴀმბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია Ⴈნგლისში... Ⴑაქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან Ⴋაჩაბლის და Ⴎასტერნაკის თარგმანში ... Ⴑაქართველოს, ისევე როგორც მთელ Ⴑაბჭოთა Ⴉავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... Ⴑაქართველო, ისევე როგორც მთელი Ⴑაბჭოთა Ⴉავშირი, უნდა იყოს ბოროტებისათვის დახურული სივრცე ... Ⴀი რატომ გაზის გამოყენება Ⴇბილისში იყო მკვლელობა.

Ⴀმრიგად, მთავრული ასოების აღდგენის აუცილებლობა თავისთავად ცხადია. Ⴍნდა აღინიშნოს, რომ პირველად ეს საკითხი წამოაყენა 1962 წელს აკადემიკოსმა Ⴀკაკი Ⴘანიძემ, რომელიც წლების მანძილზე გმირული დაჟინებით მარტოკა იცავდა ამ აზრს სრული გაუგებლობის გარემოცვაში. Ⴋაინც, რა იყო მიზეზი იმისა, რომ მას არავინ არ დაუჭირა მხარი. Ⴀმის მიზეზს მე ვხედავ ქართველი კაცის ისეთ თვისებაში, როგორიც არის თანდაყოლილი სიზარმაცე. Ⴐოდესაც ეუბნები ადამიანს, რომ უნდა აღვადგინოთ ასომთავრულიო, ის იმაზე კი არ ფიქრობს, რამდენად საღია ეს აზრი, არამედ იმაზე, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს ეს მოვლენა (ახალი ასოების შესწავლა, მათი წერის ათვისება და ა. შ.) პირადად მასზე. Ⴃა აქ ვერაფერს ვერ ხედავს გარდა აუტკივარი თავის ატკივებისა. Ⴋაგრამ ხმამაღლა ამას ვერ იძახის და მოჰყავს სხვა საწინააღმდეგო არგუმენტები, რომლებიც ვერ უძლებენ ვერავითარ კრიტიკას.

Ჭეშმარიტი მთავრული ასოების აღდგენა მკვეთრად გააუმჯობესებს დაბეჭდილი ტექსტის ხარისხს და მისცემს მძლავრ ბიძგს ჩვენი ცხოვრების ყველა მხარის განვითარებას. Ამავე აქტით ჩვენ გამოვასწორებთ 123 წლის წინათ დაშვებულ შეცდომას. Ჩვენი დამწერლობა მოქნილობით და ძალით გაუსწორდება წერის ევროპულ სისტემებს და ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენთვის კუთვნილ ადგილს ცივილიზებულ ძველდამწერლობის მქონე ხალხებს შორის.

Არსებობს მეორე პრობლემაც. Ამჟამად მოგვეპოვება ათიოდე დასახელების ქართული სასტამბო შრიფტის გარნიტური. Ამ ათიდან პრაქტიკულად იხმარება ორი-სამი, წიგნებში კი ერთი. Სწორედ ეს არის მეორე მიზეზი იმისა, რომ თანამედროვე ქართული წიგნები პოლიგრაფიული თვალსაზრისით უფერულია, ძნელად საკითხავი და თვალისდამღლელი. Შესადარებლად შეიძლება ითქვას, რომ რუსული წერის სამყაროს მოეპოვება სასტამბო შრიფტების ასობით ნაირსახეობა. Ლათინურ სამყაროს კი უფრო მეტიც (ოცი ათასი).

Ლათინური შრიფტი ემსახურება მსოფლიოს 68 ენას მრავალ ქვეყანაში. Სლავური შრიფტი ემსახურება რამოდენიმე ათეულ ენას ოთხ ქვეყანაში. Ბერძნული და სომხური შრიფტები ემსახურება თითო-თითო ენას, მაგრამ მათი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები გამოდის მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. Ქართული შრიფტი ემსახურება ერთ ენას და ქართული წიგნები გამოდის ერთ ქვეყანაში. Ე. ი., თუ სხვაენოვან შრიფტებს აქვთ განვითარების მდიდარი შესაძლებლობანი, ქართული შრიფტის განვითარება ერთი მუჭა ხალხის კისერზეა. Და თუ ჩვენ თვითონ არ მივხედავთ ამ საქმეს, სხვას არავის ეს არ ადარდებს. Რადგანაც ჩვენ, სხვა ერებთან შედარებით, ამ საკითხში გაცილებით რთულ და სავალალო მდგომარეობაში ვიმყოფებით, ჩვენ გვჭირდება უდიდესი მონდომება ამ საქმის გამოსასწორებლად.

Მხატვარმა Ანტონ Დუმბაძემ აკადემიკოს Აკაკი Შანიძის ხელმძღვანელობით 1964 წელს შექმნა სასტამბო შრიფტი *"Უნივერსიტეტი"* მთავრული — მრგვლოვანით და სასტრიქონო – მხედრული ასოებით. Ამ შრიფტით დაიბეჭდა რამოდენიმე ნაშრომი (*იხ.* სია).

*PS! Ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებით ქართული დამწერლობა შეიქმნა ძვ. წ. 412 წელს. 128 წლის შემდეგ კი (ძვ. წ. 284 წელს) შემოღებულ იქნა სრულიად ქართული სახელმწიფო დამწერლობა და ქართული ეროვნული წელთაღრიცხვა. 1988 წელს პირველს შეუსრულდა 2400 წელი, 1991 წელს კი მეორეს შეუსრულდება 2275 წელი.*

Ⴘოთა Ⴐუსთაველის უკვდავი ქმნილება ქართული ლიტერატურის მშვენებაა. Ⴀმასთანავე მან მსოფლიო ლიტერატურის საგანძურშიც დაიკავა საპატიო ადგილი საქვეყნოდ განთქმულ შედევრებს შორის. ,,Ⴅეფხისტყაოსანი“ უკვე გადათარგმნილია მრავალ უცხო ენაზე და მისი ავტორი ისევე ცნობილი გახდა მსოფლიოში, როგორც Ⴠომეროსი, Ⴔირდოუსი, Ⴌიზამი, Ⴃანტე, Ⴘექსპირი, Ⴂეთე, Ⴎუშკინი. Ⴘოთამ ბრწყინვალედ გამოიყენა ქართული ენის მხატვრული შესაძლებლობანი და მომხიბლველი პოემა შექმნა, რითაც ისახელა თავი და ასახელა ქართველი ერი, რომელიც სამართლიანად ამაყობს მისი უებრო ნაწარმოებით. Ⴐუსთაველი ქართული კულტურის მედროშე გახდა ძველი და ახალი საქართველოსთვის

Ⴃაი ხანია მიმდინარეობს ,,Ⴅეფხისტყაოსნის“ ტექსტის მეცნიერული შესწავლა და კრიტიკული განხილვა, მისი გაცხრილვა მერმინდელი მინარევისაგან და ცდები პოემის ენის დახვეწისა და პირვანდელი სახის აღდგენისა. Ⴘეიძლება ითქვას, რომ ამ მხრით უკვე გარკვეულ პროგრესს ვართ მიღწეული. Ⴇუ ვისმე უძევს წილი ამ პროგრესის მიღწევაში, ერთი მათგანი შეიძლება ამ სტრიქონების ავტორიც იყოს, რომელმაც აქტიური მონაწილეობა მიიღო პოემის სამ გამოცემაში (1937, 1951 და 1957 წწ.)[1]. Ⴋან აღადგინა ვეფხის ტყაოსნის პირველი (ვახტანგისეული) გამოცემა 1712 წლისა და დაურთო მას ახსნა-განმარტებანი (1937 წ.)[2]. Ⴋანვე

[1] Ⴌახეთ ამ კრებულში ,,Ⴃღევანდელი ვითარება Ⴅეფხის ტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში“ (გვ. 214 და შემდგომი).

[2] Ⴘოთა Ⴐუსთაველი. Ⴅეფხის ტყაოსანი. Ⴅახტანგისეული გამოცემა 1712 წლისა, აღდგენილი Ⴀ. Ⴘანიძის მიერ. 1937.

სურ. **18**. Ⴘრიფტ “Ⴓნივერსიტეტით” შესრულებული ტექსტის ფრაგმენტი

## *Ⴋთავრული ასოების გამოყენებით დაბეჭდილი ნაშრომების სია*

*Ⴀრიონი.* Ⴉრებული Ⴀკაკი Ⴘანიძის 80 წლისთავის საიუბილეოდ. — Ⴇბილისი, 1967.

*Ⴎავლეს ეპისტოლეთა ქართული ვერსიები.* // Ⴇბილისის უნივერსიტეტის შრომები. — Ⴒ. 16. — Ⴇბილისი, 1974.

*Ⴂტლთა და შვიდთა მნათობთათვის.* XII საუკუნის ასტროლოგიური ტრაქტატი. — Ⴇბილისი, 1975.

*Ⴅეფხის ტყაოსნის საკითხები.* // Ⴀ. Ⴘანიძე. Ⴇხზულებანი 12 ტომად. – Ⴒ. 5. – Ⴇბილისი, 1985. — Ⴂვ. 7–275.

*Ⴎეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი.* // Ⴀ. Ⴘანიძე. Ⴇხზულებანი 12 ტომად. — Ⴒ. 9. — Ⴇბილისი, 1986. — Ⴂვ. 55 — 123.

## *Მთავრული ასოების აღდგენის პრობლემისადმი მიძღვნილი სტატიების სია*

*Ა. Შანიძე*. Საფარული საუნჯე. // Საბჭოთა ხელოვნება. — 1962. — № 9. — Გვ. 49 — 72.

*Ა. Შანიძე*. Სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები (წერილების კრებული). — Თბილისი, 1979.

*Ა. Შანიძე*. Ქართული ორთოგრაფიის ისტორიიდან. // Დროშა. — 1967. — № 10. — Გვ. 13 — 16.

*Ა. Შანიძე*. Მთავრული ასოების ხმარების გამო ქართულში. // Ლიტერატურული საქართველო. 30.06.67.

*Ა. Შანიძე*. Მოპაექრეთა საპასუხოდ. // Ლიტერატურული საქართველო. 8.09.67.

*1989 წელი.*

# 2 მთავრულასოებიანი შრიფტების ხმარება

საქართველოს წინაშე მდგარ პრობლემების გადაჭრის ერთ-ერთ მთავარ ხერხად მიმაჩნია საგამომცებლო საქმე (კერძოდ, ბეჭდვითი მასალების პოლიგრაფიული დონე — უპირველეს ყოვლისა კი შრიფტის ხარისხი). იმას, რომ თანამედროვე ქართული ბეჭდვითი შრიფტის ხარისხი გაცილებით ჩამორჩება ევროპულ-რუსულ შრიფტების ხარისხს, მე მგონი მტკიცება არ სჭირდება.

თანამედროვე ქართული შრიფტების ნაკლი შემდეგშია:

- მთავრული ასოების უქონლობა. და როგორც შედეგი:
  - ძნელად საკითხავი ერთგვაროვანი ტექსტი;
  - მკითხველისათვის ტექსტიდან საკუთარი სახელების სწრაფად გამოყოფის შეუძლებლობა. რაც შეეხება უცხოურ საკუთარ სახელებს ან გეოგრაფიულ სახელწოდებებს, სრულებით ძნელია სწრაფად გაგება, რაზეა ლაპარაკი ტექსტში;
  - აბრევიატურების ტექსტში ხმარების შეუძლებლობა. სხვა ენებში (გერმანულში, რუსულში და ა.შ.) ხომ ფართოდ იხმარება ასეთი შემოკლებები. არსებობს კიდეც ვრცელი *"შემოკლებათა ლექსიკონები"* ამ ენებზე.
- სასტრიქონო ასოების "წვრილმანობა".

ლათინურ-რუსულ ასოებთან შედარებით ქართულ სასტრიქონო ასოებს აქვს პატარა შუატანი. რის შედეგადაც ქართული ასოები ლათინურთან შედარებით გაცილებით უფრო პატარაა. და აქედან გამომდინარე — ძნელად საკითხავი.




**სურ. 19.** Შუატანის ზომა ქართულ და ლათინურ შრიფტებში

Ამ ნაკლების გამოსწორების შემთხვევაში ქართული ნაბეჭდი ტექსტი თავის მოქნილობით და სრულყოფილობით გაუსწორდება ლათინურ ტექსტს.

Ქართული სასტამბო შრიფტის ზემოაღნიშნული ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით შევქმენი ახალი სასტამბო კომპიუტერული შრიფტი! (*იხ.* Ტაბულა 20).

Აქ წარმოდგენილ ასოებიდან საწყის ეტაპზე გამოიყენება მთავრული და მხედრული ასოები. Მთავრული ასოებით დაიწერება წერტილის შემდეგ ახალი წინადადების პირველი სიტყვის პირველი ასო და აგრეთვე საკუთარი და პირადი სახელების პირველი ასო. Ამ წესის გამოყენება მკვეთრად გააუმჯობესებს დაბეჭდილი ტექსტის ხარისხს და მისცემს მძლავრ ბიძგს საქართველოს ცხოვრების ყველა მხარის განვითარებას.

Იმის შიში, რომ ასეთი წესით დაბეჭდილ წიგნს ვერ წაიკითხავს მთავრული ასოების არმცოდნე ადამიანი, არ არის გამართლებული. Ქართული წერა-კითხვის მცოდნეს ასეთი ტექსტის წაკითხვა არ გაუჭირდება. Ეს არის მე-2 კლასის გამოცანა — მოცემულია სიტყვა, რომელშიც გამოტოვებულია ერთი ასო (ამ შემთხვევაში პირველი). Ბავშვი ადვილად კითხულობს ამ სიტყვას.

Ამით იმის თქმა მინდა, რომ არ არის საჭირო მოსახლეობას საგანგებოდ შევასწავლოთ მთავრული ასოები, რასაც დასჭირდება სახსრები და დრო (ჩვენ არა გვაქვს არც ერთი და არც მეორე). Თუ კი გავითვალისწინებთ ქართველი კაცის თანდაყოლილ სიზარმაცეს, ეს სწავლების პროცესი გამოიწვევს უარყოფით რეაქციას. Გამოცემული წიგნები და ჟურნალ-გაზეთები იქნება ამ ასოების შესწავლის საუკეთესო შესაძლებლობა.

*Ასომთავრული უნდა აღსდგეს ბუნებრივად, უჩუმრად და ყოველგვარი ფუჭი დისკუსიების, სააგიტაციო ხმაურის და რახარუხის გარეშე!*

Ⴒაბულა 20. Ⴁეჭდური ასონიშნების სრული კომპლექტი

| | |
|---|---|
| ႠႡႢႣႤႥႦჁႧႨႩႪႫႬჂႭႮႯႰႱႲჃႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾჄႿჀჅ | Ⴋთავრული |
| ႠႡႢႣႤႥႦჁႧႨႩႪႫႬჂႭႮႯႰႱႲჃႳႴႵႶႷႸႹႺႻႼႽႾჄႿჀჅ | Ⴋცირე მთავრული |
| ⴀⴁⴂⴃⴄⴅⴆⴡⴇⴈⴉⴊⴋⴌⴢⴍⴎⴏⴐⴑⴒⴣⴓⴔⴕⴖⴗⴘⴙⴚⴛⴜⴝⴞⴤⴟⴠⴥ | Ⴌუსხური |
| აბგდევზჱთიკლმნჲოპჟრსტჳუფქღყშჩცძწჭხჴჯჰ | Ⴋხედრული |
| 1234567890%№IVX*-—. ... ; : [ ] { } + - / \ ! ? @ # $ % ^ & ( ) ~ ‘ ’ “ ” | |
| ႥႠႰႻႨႠ ႫႣႤႡႠႰႤႭႡႱ ႧႡႨႪႨႱႨႣႠႬ ႱႠႫႠႱ ႩႨႪႭႫႤႲႰႦႤ | |
| ႥႠႰႻႨႠ ႫႣႤႡႠႰႤႭႡႱ ႧႡႨႪႨႱႨႣႠႬ ႱႠႫႠႱ ႩႨႪႭႫႤႲႰႦႤ | |
| Ⴅⴀⴐⴛⴈⴀ ⴋⴃⴄⴁⴀⴐⴄⴍⴁⴑ Ⴇⴁⴈⴊⴈⴑⴈⴃⴀⴌ ⴑⴀⴋⴀⴑ ⴉⴈⴊⴍⴋⴄⴒⴐⴆⴄ | |
| Ⴅარძია მდებარეობს Ⴇბილისიდან სამას კილომეტრზე | |

© Ⴇამაზ Ⴝედლიძე

Ⴋთავრულების ხმარება

ႲაბულაП 21. Ⴋთავრული და მთავრულებიანი შრიფტები

| | |
|---|---|
| *ჩვეულებრივი*<br>ამბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია ინგლისში ... საქართველო ამჯობინებს შექსპირს დედანში ან მაჩაბლის და პასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... აი რატომ გაზის გამოყენება თბილისში იყო მკვლელობა. | Ⴀმბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია Ⴈნგლისში... Ⴑაქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან Ⴝაჩაბლის და Ⴎასტერნაკის თარგმანში... Ⴑაქართველოს, ისევე როგორც მთელ Ⴑაბჭოთა Ⴉავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება...Ⴀი რატომ გაზის გამოყენება Ⴇბილისში იყო მკვლელობა. |
| *კოლხეთი*<br>ამბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია ინგლისში ...საქართველო ამჯობინებს შექსპირს დედანში ან მაჩაბლის და პასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... აი რატომ გაზის გამოყენება თბილისში იყო მკვლელობა. | Ⴀმბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია Ⴈნგლისში ...საქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან Ⴝაჩაბლის და Ⴎასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ Ⴑაბჭოთა Ⴉავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... Ⴀი რატომ გაზის გამოყენება Ⴇბილისში იყო მკვლელობა. |
| *ნიტერატურული*<br>ამბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია ინგლისში ... საქართველო ამჯობინებს შექსპირს დედანში ან მაჩაბლის და პასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... აი რატომ გაზის გამოყენება თბილისში იყო მკვლელობა. | Ⴀმბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია Ⴈნგლისში ... საქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან Ⴝაჩაბლის და Ⴎასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ Ⴑაბჭოთა Ⴉავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... Ⴀი რატომ გაზის გამოყენება Ⴇბილისში იყო მკვლელობა. |
| *Ⴝჭედლიძე*<br>ამბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია ინგლისში ... საქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან მაჩაბლის და პასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... აი რატომ გაზის გამოყენება თბილისში იყო მკვლელობა. | Ⴀმბობენ, რომ ეს გაზი გამოგონილია Ⴈნგლისში... საქართველო ამჯობინებს Ⴘექსპირს დედანში ან Ⴝაჩაბლის და Ⴎასტერნაკის თარგმანში ... საქართველოს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა Ⴉავშირს, ესაჭიროება სხვაგვარი დასავლური გამოცდილება ... Ⴀი რატომ გაზის გამოყენება Ⴇბილისში იყო მკვლელობა. |

© Ⴇამაზ Ⴝჭედლიძე

Ⴃა თქმა უნდა, *"ჩვეულებრივს", კოლხეთს"* და *"ნიტერატურულს"* რომ გაუკეთდეს მათთვის შესაფერისი მთავრული ასოები, შრიფტი უფრო ლამაზი გამოვა.

Ⴜიგნების პირველ ფურცელზე შეიძლება მოთავსდეს დაახლოვებით ასეთი სახის ტაბულები.

Ⴒაბულა 22. Ⴕართული ანბანი

| | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Ⴀ | Ⴁ | Ⴂ | Ⴃ | Ⴄ | Ⴅ | Ⴆ | Ⴡ | Ⴇ | Ⴈ | Ⴉ | Ⴊ | Ⴋ | Ⴌ | Ⴢ | Ⴍ | Ⴎ | Ⴏ | Ⴐ |
| ა | ბ | გ | დ | ე | ვ | ზ | ჱ | თ | ი | კ | ლ | მ | ნ | ჲ | ო | პ | ჟ | რ |
| Ⴑ | Ⴒ | Ⴣ | Ⴓ | Ⴔ | Ⴕ | Ⴖ | Ⴗ | Ⴘ | Ⴙ | Ⴚ | Ⴛ | Ⴜ | Ⴝ | Ⴞ | Ⴤ | Ⴟ | Ⴠ | Ⴥ |
| ს | ტ | ჳ | უ | ფ | ქ | ღ | ყ | შ | ჩ | ც | ძ | წ | ჭ | ხ | ჴ | ჯ | ჰ | ჵ |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴒაბულა 23. Ⴕართული ანბანი

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| Ⴀა | Ⴁბ | Ⴂგ | Ⴃდ | Ⴄე | Ⴅვ | Ⴆზ | Ⴡჱ | Ⴇთ | Ⴈი | Ⴉკ | Ⴊლ | Ⴋმ | Ⴌნ |
| Ⴢჲ | Ⴍო | Ⴎპ | Ⴏჟ | Ⴐრ | Ⴑს | Ⴒტ | Ⴣჳ | Ⴓუ | Ⴔფ | Ⴕქ | Ⴖღ | Ⴗყ | Ⴘშ |
| Ⴙჩ | Ⴚც | Ⴛძ | Ⴜწ | Ⴝჭ | Ⴞხ | Ⴤჴ | Ⴟჯ | Ⴠჰ | Ⴥჵ | | | | |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴒაბულა 24. Ⴕართული ანბანი

| | | | |
|---|---|---|---|
| Ⴀა | Ⴉკ | Ⴒტ | Ⴛძ |
| Ⴁბ | Ⴊლ | Ⴣჳ | Ⴜწ |
| Ⴂგ | Ⴋმ | Ⴓუ | Ⴝჭ |
| Ⴃდ | Ⴌნ | Ⴔფ | Ⴞხ |
| Ⴄე | Ⴢჲ | Ⴕქ | Ⴤჴ |
| Ⴅვ | Ⴍო | Ⴖღ | Ⴟჯ |
| Ⴆზ | Ⴎპ | Ⴗყ | Ⴠჰ |
| Ⴡჱ | Ⴏჟ | Ⴘშ | Ⴥჵ |
| Ⴇთ | Ⴐრ | Ⴙჩ | |
| Ⴈი | Ⴑს | Ⴚც | |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴙემს მიერ გაკეთებულ ამ შრიფტში არის ბევრი მხატვრული და ტექნიკური ნაკლი. Ⴇუ საშრიფტო ხელოვნების რომელიმე ოსტატი გააკეთებს ახალ დახვეწილ შრიფტს ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გათვალისწინებით, ხომ კარგი. Ⴇუ არა და საწყის ეტაპზე შეიძლება ჩემი ამ დაუხვეწელი შრიფტის გამოყენება.

# 3 Ⴕართული ანბანის წარმოშობის საკითხისათვის

Ⴕართული ანბანის წარმოშობის საკითხის გამოსარკვევად საჭიროა მისი შედარება სხვა ანბანებთან განსხვავებული თვისებების გამოვლინების მიზნით. Ⴕართული ანბანის შედარებისას სხვა ანბანებთან ვლინდება შემდეგი სხვაობები (*იხ.* Ⴒაბულები 25 — 32).

### ***Ⴔინიკიურთან***

Ⴒაბულა 25. Ⴂანსხვავებული ასოები ფინიკიურ-ქართულ ანბანებში

| Ⴀსოს რიგითი ნომერი | Ⴔინიკიური | Ⴕართული |
|---|---|---|
| 5 | *ჰე* | *ენ* |
| 8 | *ხეთ* | *ჱე* |
| 10 | *ჲოთ* | *ინ* |
| 15 | *სამექ* | *ჲე* |
| 18 | *ცადე* | *ჟან* |
| 19 | *ქოფ* | — |
| 21 | *შინ* | *სან* |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴔინიკიურში 22 ასოა, ქართულში 21 (ასო *"ქოფ"* გამოტოვებულია). Ⴍრივე ანბანში რიგითი მნიშვნელობა სრულად შეესაბამება რიცხვით მნიშვნელობას. Ⴍრივე ანბანი მთავრდება ჯვრის ნიშნით (**X**– *"ტავ"* და **X**– *"ჯან"*)

ანბანის წარმოშობა

## *არქაულ ბერძნულთან*

ტაბულა 26. განსხვავებული ასოები არქაულ ბერძნულ-ქართულ ანბანებში

| ასოს რიგითი ნომერი | არქაული ბერძნული | ქართული |
|---|---|---|
| 15 | *ქსი* | *ჲე* |
| 18 | *სან* | *ჟან* |
| 19 | *კოპა* | — |
| 23 | *ჲუ* | *უი* |

© თამაზ მჭედლიძე

არქაულ ბერძნულში 23 ასოა, ქართულში 22 (ასო *“კოპა”* გამოტოვებულია). ბერძნულში ასოებს *“სან”* და *“კოპა”* არ გააჩნია ბგერითი მნიშვნელობები.

## *კლასიკურ ბერძნულთან*

ტაბულა 27. განსხვავებული ასოები კლასიკურ ბერძნულ-ქართულ ანბანებში

| ასოს რიგითი ნომერი | კლასიკური ბერძნული | ქართული |
|---|---|---|
| 6 | *სტივმა* | *ვინ* |
| 7 | *ძეტა* | *ზენ* |
| 8 | *ეტა* | *ჱე* |
| 15 | *ქსი* | *ჲე* |
| 18 | *სამპი* | *ჟან* |
| 19 | *კოპა* | — |
| 26 | *ფსი* | *ღან* |
| 27 | *ომეგა* | *ყარ* |

© თამაზ მჭედლიძე

კლასიკურ ბერძნულში 27 ასოა, ქართულში 26 (ასო *“კოპა”* გამოტოვებულია). ბერძნულში ასოებს *“სტივმა”*, *“სამპი”* და *“კოპა”* არ გააჩნიათ ბგერითი მნიშვნელობები. ბერძნულში შეუსაბამობაა რიგით და რიცხვით მნიშვნელობებს შორის. ეს შეუსაბამობა იწყება *“სამპიდან”*.

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ

## *Ⴁიზანტიურ ბერძნულთან*

Ⴒაბულა 28. Ⴂანსხვავებული ასოები ბიზანტიურ ბერძნულ-ქართულ ანბანებში

| Ⴀსოს რიგითი ნომერი | Ⴁიზანტიური ბერძნული | Ⴕართული |
|---|---|---|
| 2 | *ვიტა* | *ბან* |
| 6 | — | *ვინ* |
| 8 | *იტა* | *ჰე* |
| 10 | *ჲოტა* | *ინ* |
| 15 | *ქსი* | *ჲე* |
| 18 | — | *ჟან* |
| 23 | *იფსილონ* | *უიე* |
| 26 | *ფსი* | *ღან* |
| 27 | *ომეგა* | *ყარ* |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴁიზანტიურ ბერძნულში 24 ასოა (ამოღებულია *“სტიგმა”*, *“სამპი”* და *“კოპა”*), ქართულში 26 . Ⴁერძნულში სრული შესაბამობაა რიგით და რიცხვით მნიშვნელობებს შორის.

## *Ⴀრქაულ ლათინურთან*

Ⴒაბულა 29. Ⴂანსხვავებული ასოები არქაულ ლათინურ-ქართულ ანბანებში

| Ⴀსოს რიგითი ნომერი | Ⴀრქაული ლათინური | Ⴕართული |
|---|---|---|
| 6 | *ეფ* | *ვინ* |
| 7 | – | *ზენ* |
| 9 | – | *თან* |
| 15 | – | *ჲე* |
| 18 | – | *ჟან* |
| 19 | *ქჲუ* | – |
| 23 | *ვე* | *უიე* |
| 24 | – | *ფარ* |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴀრქაულ ლათინურში 20 ასოა (გამოტოვებულია ასოები *“ზენ”*, *“ჲე”*, *“ჟან”*, *“ფარ”*), ქართულში 24 (გამოტოვებულია “ქჲუ”). Ⴍრივე ანბანი მთავრდება ჯვრის ნიშნით (**X** – *“ქს”* და X – *“ჯან”*).

### *კლასიკურ ლათინურთან*

ტაბულა 30. განსხვავებული ასოები კლასიკურ ლათინურ-ქართულ ანბანებში

| ასოს რიგითი ნომერი | კლასიკური ლათინური | ქართული |
|---|---|---|
| 3 | *ცე* | *გან* |
| 6 | *ეფ* | *ვინ* |
| 7 | *გე* | *ზენ* |
| 9 | — | *თან* |
| 15 | — | *ჲე* |
| 18 | — | *ჟან* |
| 19 | *ქჲუ* | — |
| 23 | *ვე* | *უიე* |
| 24 | — | *ფარ* |
| 25 | *იფსილონ* | *ღან* |
| 26 | *ზეტა* | *ყარ* |

© რამაზ ჭჭედლიძე

კლასიკურ ლათინურში 23 ასოა (გამოტოვებულია ასოები *“თან”*, *“ჲე”*, *“ჟან”*, *“ფარ”*), ქართულში 26 (გამოტოვებულია *“ქჲუ”*). შუასაუკუნეებში (მე-16 ს.) ლათინურში შემოიღეს ასოები *“ჲოტ”* და *“უ”*.

განსხვავებული თვისებების შედარების და მათგან ერთნაირი თვისებების ამოშლის შემდეგ დარჩება.

ტაბულა 31. განსხვავებული ასოები სხვადასხვა ანბანებში

| | |
|---|---|
| ფინიკიურში | *ჰე, ხეთ, ჲოთ* |
| არქაულ ბერძნულში | *ჲუ* |
| კლასიკურ ბერძნულში | *სტიგმა, ძეტა, ეტა, ფსი, ომეგა* |
| ბიზანტიურ ბერძნულში | *ვიტა, იტა, ჲოტა, იფსილონ* |
| არქაულ ლათინურში | *ეფ, 7, 9, ვე, 24* |
| კლასიკურ ლათინურში | *ცე, იფსილონ, ზეტა* |

© რამაზ ჭჭედლიძე

ყველაზე ნაკლები სხვაობაა *არქაულ ბერძნულთან!*

ႠႱႭႫႧႠႥႰႳႪႨ

Ⴔინიკიურის და არქაულ ბერძნულის შედარებისას გამოვავლენთ შემდეგ სხვაობებს.

Ⴒაბულა 32. Ⴂანსხვავებული ასოები ფინიკიურ-არქაულ ბერძნულ ანბანებში

| Ⴀსოს რიგითი ნომერი | Ⴔინიკიური | Ⴀრქაული ბერძნული |
|---|---|---|
| 5 | *ჰე* | *ეფსილონ* [ე] |
| 8 | *ხეთ* | *ეტა* [ჰ/ე] |
| 10 | *ჲოთ* | *იოტა* |
| 15 | *სამექ* | *ქსი* |
| 18 | *ცადე* | *სან* |
| 19 | *ქჲუ* | *კოპა* |
| 21 | *შინ* | *სიგმა* |

© Ⴐამაზ Ⴋჭედლიძე

Ⴔინიკიურში 22 ასოა, არქაულ ბერძნულში 22 . Ⴔინიკიურსა და არქაულ ბერძნულს შორის იმავე ასოებშია სხვაობა, როგორც ფინიკიურსა და ქართულს შორის. Ⴀმ შვიდი ასოდან ოთხში *(ჰე, ხეთ, ჲოთ, შინ)* ერთნაირი სხვაობაა, სამში კი *(სამექ, ცადე, ქოფ)* განსხვავებული.

## *Ⴃასკვნა*

Ⴕართული ანბანი, ალბათ, გადმოღებულია არქაულ ბერძნულიდან და დამატებული აქვს კლასიკური ბერძნულის ელემენტები (**Φ**, **X**). Ⴔინიკიურიდან გადმოღებული რომ იყოს, ასო **Ⴒ** საგანგებოდ იქნებოდა გამოყოფილი ჯვრის ნიშნით.

Ⴋაგრამ, ამავე დროს, რიგითი და რიცხვითი მნიშვნელობების სრული შესაბამობა ქართულ ანბანში მიუთითებს მის გენეტიკურ კავშირზე ფინიკიურთან. Ⴀმის დამადასტურებელია აგრეთვე ის, რომ ქართული და ფინიკიური ანბანები მთავრდება ჯვრის ნიშნით (**X**—*“ტავ“* და **X**– *“ჯან“*).

Ⴒაბულა 33. **Ⴔინიკიური ანბანი**

| Ⴔინიკიური | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1 | 𐤀 | ალეფ | [’] | 1 |
| 2 | 𐤁 | ბეთ | [ბ] | 2 |
| 3 | 𐤂 | გიმელ | [გ] | 3 |
| 4 | 𐤃 | დალეთ | [დ] | 4 |
| 5 | 𐤄 | ჰე | [ჰ] | 5 |
| 6 | 𐤅 | ვავ | [ვ] | 6 |
| 7 | 𐤆 | ზაჲნ | [ზ] | 7 |
| 8 | 𐤇 | ხეთ | [ხ] | 8 |
| 9 | 𐤈 | თეთ | [თ] | 9 |
| 10 | 𐤉 | ჲოთ | [ჲ] | 10 |
| 11 | 𐤊 | კაფ | [კ] | 20 |
| 12 | 𐤋 | ლამედ | [ლ] | 30 |
| 13 | 𐤌 | მემ | [მ | 40 |
| 14 | 𐤍 | ნუნ | [ნ] | 50 |
| 15 | 𐤎 | სამექ | [ს] | 60 |
| 16 | 𐤏 | აჲინ | [’] | 70 |
| 17 | 𐤐 | პე | [პ] | 80 |
| 18 | 𐤑 | ცადე | [ც] | 90 |
| 19 | 𐤒 | ქოფ | [ქ] | 100 |
| 21 | 𐤓 | რეშ | [რ] | 200 |
| 21 | 𐤔 | შინ | [შ] | 300 |
| 22 | 𐤕 | ტავ | [ტ] | 400 |

© Ⴐამაზ Ⴋჭედლიძე

ᲐᲡᲝᲛᲗᲐᲕᲠᲣᲚᲘ

ტაბულა 34. **ბერძნული ანბანი**

| ბერძნული | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არქაული | | | | კლასიკური | | | | | ბიზანტიური | | |
| 1 | Α | ალფა | [ა] | 1 | Α | ალფა | [ა] | 1 | Α | ალფა | [ა] |
| 2 | Β | ბეტა | [ბ] | 2 | Β | ბეტა | [ბ] | 2 | Β | ვიტა | [ბ] |
| 3 | Γ | გამა | [გ] | 3 | Γ | გამა | [გ] | 3 | Γ | გამა | [გ] |
| 4 | Δ | დელტა | [დ] | 4 | Δ | დელტა | [დ] | 4 | Δ | დელტა | [დ] |
| 5 | Ε | ეფსილონ | [ე] | 5 | Ε | ეფსილონ | [ე] | 5 | Ε | ეფსილონ | [ე] |
| 6 | Ϝ | დიგამა | [ვ(უ)] | 6 | Ϛ | სტიგმა | | 6 | | | |
| 7 | Ι | ძეტა | [დ(ზ)] | 7 | Ζ | ძეტა | [ძ] | 7 | Ζ | ზიტა | [ზ] |
| 8 | Η | ეტა | [1.ჰ;2.ე] | 8 | Η | ეტა | [ე] | 8 | Η | იტა | [ი] |
| 9 | ⊕ | თეტა | [თ] | 9 | Θ | თეტა | [თ] | 9 | Θ | თიტა | [თ] |
| 10 | Ι | იოტა | [ი] | 10 | Ι | იოტა | [ი] | 10 | Ι | ჲოტა | [ჲ] |
| 11 | Κ | კაპა | [კ] | 11 | Κ | კაპა | [კ] | 20 | Κ | კაპა | [კ] |
| 12 | Λ | ლამბდა | [ლ] | 12 | Λ | ლამბდა | [ლ] | 30 | Λ | ლამბდა | [ლ] |
| 13 | Μ | მჲუ | [მ] | 13 | Μ | მჲუ | [მ] | 40 | Μ | მი | [მ] |
| 14 | Ν | ნჲუ | [ნ] | 14 | Ν | ნჲუ | [ნ] | 50 | Ν | ნი | [ნ] |
| 15 | Ξ | ქსი | [ქს] | 15 | Ξ | ქსი | [ქს] | 60 | Ξ | ქსი | [ქს] |
| 16 | Ο | ომიკრონ | [ო] | 16 | Ο | ომიკრონ | [ო́] | 70 | Ο | ომიკრონ | [ო́] |
| 17 | Π | პი | [პ] | 17 | Π | პი | [პ] | 80 | Π | პი | [პ] |
| 18 | Ϻ | სან | | 18 | Ϡ | სამპი | | 900 | | | |
| 19 | Ϙ | კოპა | | 19 | Ϟ | კოპა | | 90 | | | |
| 20 | Ρ | რო | [რ] | 20 | Ρ | რო | [რ] | 100 | Ρ | რო | [რ] |
| 21 | Σ | სიგმა | [ს] | 21 | Σ | სიგმა | [ს] | 200 | Σ | სიგმა | [ს] |
| 22 | Τ | ტაჲუ | [ტ] | 22 | Τ | ტაჲუ | [ტ] | 300 | Τ | ტაჶ | [ტ] |
| 23 | Υ | ჲუფსილონ | [ჲუ] | 23 | Υ | ჲუფსილონ | [ჲუ] | | Υ | იუფსილონ | [ი] |
| | | | | 24 | Φ | ფი | [ფ] | 500 | Φ | ჶი | [ჶ] |
| | | | | 25 | Χ | ქსი | [ქ] | 600 | Χ | ქსი | [ხ] |
| | | | | 26 | Ψ | ფსი | [ფს] | 700 | Ψ | ფსი | [ფს] |
| | | | | 27 | Ω | ომეგა | [ō] | 800 | Ω | ომეგა | [ō] |

© თამაზ მჭედლიძე

ტაბულა 35. **ლათინური ანბანი**

| ლათინური | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| არქაული | | | კლასიკური (ძვ. წ. მე-2 ს.) | | | შუასაუკუნური (მე-11 ს.) | | |
| **A** | ა | [ა] | **A** | ა | [ა] | **A** | ა | [ა] |
| **B** | ბე | [ბ] | **B** | ბე | [ბ] | **B** | ბე | [ბ] |
| **Γ** | გე | [გ] | **C** | ცე | [ც] და [კ] | **C** | ცე | [ც] და [კ] |
| **▷** | დე | [დ] | **D** | დე | [დ] | **D** | დე | [დ] |
| **E** | ე | [ე] | **E** | ე | [ე] | **E** | ე | [ე] |
| **F** | ეფ | [ფ] | **F** | ეფ | [ფ] | **F** | ეფ | [ფ] |
| | | | **G** | გე | [გ] | **G** | გე | [გ] |
| **𐌇** | ჰა | [ჰ] | **H** | ჰა | [ჰ] | **H** | ჰა | [ჰ] |
| **I** | ი | [ი] | **I** | ი | [ი] | **I** | ი | [ი] |
| | | | | | | **J** | ჲოტ | [ჲ] |
| **K** | კა | [კ] | **K** | კა | [კ] | **K** | კა | [კ] |
| **L** | ელ | [ლ] | **L** | ელ | [ლ] | **L** | ელ | [ლ] |
| **𐌌** | ემ | [მ | **M** | ემ | [მ | **M** | ემ | [მ |
| **N** | ენ | [ნ] | **N** | ენ | [ნ] | **N** | ენ | [ნ] |
| **O** | ო | [ო] | **O** | ო | [ო] | **O** | ო | [ო] |
| **𐌐** | პე | [პ] | **P** | პე | [პ] | **P** | პე | [პ] |
| **Ϙ** | ქუ | [ქ] | **Q** | ქუ | [ქ] | **Q** | ქუ | [ქ] |
| **P** | ერ | [რ] | **R** | ერ | [რ] | **R** | ერ | [რ] |
| **ϟ** | ეს | [ს] | **S** | ეს | [ს] | **S** | ეს | [ს] |
| **T** | ტე | [ტ] | **T** | ტე | [ტ] | **T** | ტე | [ტ] |
| | | | | | | **U** | უ | [უ] |
| **V** | ვე | [ვ] | **V** | ვე | [ვ] | **V** | ვე | [ვ] |
| **X** | იქს | [ქს] | **X** | იქს | [ქს] | **X** | იქს | [ქს] |
| | | | **Y** | იფსილონ | [ი] | **Y** | იფსილონ | [ი] |
| | | | **Z** | ზეტა | [ზ] | **Z** | ზეტა | [ზ] |

© თამაზ ჭჭედლიძე

Ⴒაბულა 36. Ⴕართული ანბანი

| Ⴕართული | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კლასიკური (ძვ. წ. 412 წ.) | | | | | I ს. | | | | | Ⴋე-8 ს. | | | | |
| 1 | Ⴀ | ან | [ა] | 1 | 1 | Ⴀ | ან | [ა] | 1 | 1 | Ⴀ | ან | [ა] | 1 |
| 2 | Ⴁ | ბან | [ბ] | 2 | 2 | Ⴁ | ბან | [ბ] | 2 | 2 | Ⴁ | ბან | [ბ] | 2 |
| 3 | Ⴂ | გან | [გ] | 3 | 3 | Ⴂ | გან | [გ] | 3 | 3 | Ⴂ | გან | [გ] | 3 |
| 4 | Ⴃ | დონ | [დ] | 4 | 4 | Ⴃ | დონ | [დ] | 4 | 4 | Ⴃ | დონ | [დ] | 4 |
| 5 | Ⴄ | ენ | [ე] | 5 | 5 | Ⴄ | ენ | [ე] | 5 | 5 | Ⴄ | ენ | [ე] | 5 |
| 6 | Ⴅ | ვინ | [ვ] | 6 | 6 | Ⴅ | ვინ | [ვ] | 6 | 6 | Ⴅ | ვინ | [ვ] | 6 |
| 7 | Ⴆ | ზენ | [ზ] | 7 | 7 | Ⴆ | ზენ | [ზ] | 7 | 7 | Ⴆ | ზენ | [ზ] | 7 |
| 8 | Ⴡ | ჱე | [ჱ[ჰ]] | 8 | 8 | Ⴡ | ჱე | [ჱ[ე]] | 8 | 8 | Ⴡ | ჱე | [ჱ[ე]] | 8 |
| 9 | Ⴇ | თან | | 9 | 9 | Ⴇ | თან | | 9 | 9 | Ⴇ | თან | | 9 |
| 10 | Ⴈ | ინ | [ი] | 10 | 10 | Ⴈ | ინ | [ი] | 10 | 10 | Ⴈ | ინ | [ი] | 10 |
| 11 | Ⴉ | კან | [კ] | 20 | 11 | Ⴉ | კან | [კ] | 20 | 11 | Ⴉ | კან | [კ] | 20 |
| 12 | Ⴊ | ლას | [ლ] | 30 | 12 | Ⴊ | ლას | [ლ] | 30 | 12 | Ⴊ | ლას | [ლ] | 30 |
| 13 | Ⴋ | მან | [მ] | 40 | 13 | Ⴋ | მან | [მ] | 40 | 13 | Ⴋ | მან | [მ] | 40 |
| 14 | Ⴌ | ნარ | [ნ] | 50 | 14 | Ⴌ | ნარ | [ნ] | 50 | 14 | Ⴌ | ნარ | [ნ] | 50 |
| 15 | Ⴢ | ჲე | [ჲ] | 60 | 15 | Ⴢ | ჲე | [ჲ] | 60 | 15 | Ⴢ | ჲე | [ჲ] | 60 |
| 16 | Ⴍ | ონ | [ო] | 70 | 16 | Ⴍ | ონ | [ო] | 70 | 16 | Ⴍ | ონ | [ო] | 70 |
| 17 | Ⴎ | პარ | [პ] | 80 | 17 | Ⴎ | პარ | [პ] | 80 | 17 | Ⴎ | პარ | [პ] | 80 |
| 18 | Ⴏ | ჟან | [ჟ] | 90 | 18 | Ⴏ | ჟან | [ჟ] | 90 | 18 | Ⴏ | ჟან | [ჟ] | 90 |
| 19 | Ⴐ | რაე | [რ] | 100 | 19 | Ⴐ | რაე | [რ] | 100 | 19 | Ⴐ | რაე | [რ] | 100 |
| 20 | Ⴑ | სან | [ს] | 200 | 20 | Ⴑ | სან | [ს] | 200 | 20 | Ⴑ | სან | [ს] | 200 |
| 21 | Ⴒ | ტარ | [ტ] | 300 | 21 | Ⴒ | ტარ | [ტ] | 300 | 21 | Ⴒ | ტარ | [ტ] | 300 |
| 22 | Ⴣ | ჳე | [უ̂ი] | 400 | 22 | Ⴣ | ჳე | [უ̂ი] | 400 | 22 | Ⴣ | ჳე | [უ̂ი] | 400 |
| | | | | | | | | | | | Ⴓ | უნ | [უ] | |
| 23 | Ⴔ | ფარ | [ფ] | 500 | 23 | Ⴔ | ფარ | [ფ] | 500 | 23 | Ⴔ | ფარ | [ფ] | 500 |
| 24 | Ⴕ | ქან | [ქ] | 600 | 24 | Ⴕ | ქან | [ქ] | 600 | 24 | Ⴕ | ქან | [ქ] | 600 |
| 25 | Ⴖ | ღან | [ღ] | 700 | 25 | Ⴖ | ღან | [ღ] | 700 | 25 | Ⴖ | ღან | [ღ] | 700 |
| 26 | Ⴗ | ყარ | [ყ] | 800 | 26 | Ⴗ | ყარ | [ყ] | 800 | 26 | Ⴗ | ყარ | [ყ] | 800 |
| 27 | Ⴘ | შინ | [შ] | 900 | 27 | Ⴘ | შინ | [შ] | 900 | 27 | Ⴘ | შინ | [შ] | 900 |
| 28 | Ⴙ | ჩინ | [ჩ] | 1000 | 28 | Ⴙ | ჩინ | [ჩ] | 1000 | 28 | Ⴙ | ჩინ | [ჩ] | 1000 |
| 29 | Ⴚ | ცან | [ც] | 2000 | 29 | Ⴚ | ცან | [ც] | 2000 | 29 | Ⴚ | ცან | [ც] | 2000 |
| 30 | Ⴛ | ძილ | [ძ] | 3000 | 30 | Ⴛ | ძილ | [ძ] | 3000 | 30 | Ⴛ | ძილ | [ძ] | 3000 |
| 31 | Ⴜ | წილ | [წ] | 4000 | 31 | Ⴜ | წილ | [წ] | 4000 | 31 | Ⴜ | წილ | [წ] | 4000 |
| 32 | Ⴝ | ჭარ | [ჭ] | 5000 | 32 | Ⴝ | ჭარ | [ჭ] | 5000 | 32 | Ⴝ | ჭარ | [ჭ] | 5000 |
| 33 | Ⴞ | ხან | [ხ] | 6000 | 33 | Ⴞ | ხან | [ხ] | 6000 | 33 | Ⴞ | ხან | [ხ] | 6000 |
| 34 | Ⴤ | ჴარ | [ჴ] | 7000 | 34 | Ⴤ | ჴარ | [ჴ] | 7000 | 34 | Ⴤ | ჴარ | [ჴ] | 7000 |
| 35 | Ⴟ | ჯან | [ჯ] | 8000 | 35 | Ⴟ | ჯან | [ჯ] | 8000 | 35 | Ⴟ | ჯან | [ჯ] | 8000 |
| | | | | | 36 | Ⴠ | ჰაე | [ჰ] | 9000 | 36 | Ⴠ | ჰაე | [ჰ] | 9000 |
| | | | | | 37 | Ⴥ | ჵჰ | [ჵ[ო]] | 10000 | 37 | Ⴥ | ჵჰ | [ჵ[ო]] | 10000 |

© Ⴇამაზ Ⴋჭედლიძე

ტაბულა 37. **სომხური ანბანი**

| სომხური | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ძე-5 ს. | | | | | ძე-12 ს. | | | | |
| 1 | Ա | აჲბ | [ა] | 1 | 1 | Ա | აჲბ | [ა] | 1 |
| 2 | Բ | ბენ | [ბ] | 2 | 2 | Բ | ბენ | [ბ] | 2 |
| 3 | Գ | გიმ | [გ] | 3 | 3 | Գ | გიმ | [გ] | 3 |
| 4 | Դ | და | [დ] | 4 | 4 | Դ | და | [დ] | 4 |
| 5 | Ե | ეჩ | [ე] | 5 | 5 | Ե | ეჩ | [ე] | 5 |
| 6 | Զ | ზა | [ზ] | 6 | 6 | Զ | ზა | [ზ] | 6 |
| 7 | Է | ჱ | [ჱ] | 7 | 7 | Է | ჱ | [ჱ] | 7 |
| 8 | Ը | ჷთ | [ჷ] | 8 | 8 | Ը | ჷთ | [ჷ] | 8 |
| 9 | Թ | თო | [თ] | 9 | 9 | Թ | თო | [თ] | 9 |
| 10 | Ժ | ჟე | [ჟ] | 10 | 10 | Ժ | ჟე | [ჟ] | 10 |
| 11 | Ի | ინ | [ი] | 20 | 11 | Ի | ინ | [ი] | 20 |
| 12 | Լ | ლჳნ | [ლ̄] | 30 | 12 | Լ | ლჳნ | [ლ̄] | 30 |
| 13 | Խ | ხე | [ხ] | 40 | 13 | Խ | ხე | [ხ] | 40 |
| 14 | Ծ | წა | [წ] | 50 | 14 | Ծ | წა | [წ] | 50 |
| 15 | Կ | კენ | [კ] | 60 | 15 | Կ | კენ | [კ] | 60 |
| 16 | Հ | ჰო | [ჰ] | 70 | 16 | Հ | ჰო | [ჰ] | 70 |
| 17 | Ձ | ძა | [ძ] | 80 | 17 | Ձ | ძა | [ძ] | 80 |
| 18 | Ղ | ლატ | [ლ̄] | 90 | 18 | Ղ | ლატ | [ლ̄] | 90 |
| 19 | Ճ | ჭა | [ჭ] | 100 | 19 | Ճ | ჭა | [ჭ] | 100 |
| 20 | Մ | მენ | [მ] | 200 | 20 | Մ | მენ | [მ] | 200 |
| 21 | Յ | ჲი | [ჲ] | 300 | 21 | Յ | ჲი | [ჲ] | 300 |
| 22 | Ն | ნუ | [ნ] | 400 | 22 | Ն | ნუ | [ნ] | 400 |
| 23 | Շ | შა | [შ] | 500 | 23 | Շ | შა | [შ] | 500 |
| 24 | Ո | ო | [ო] | 600 | 24 | Ո | ო | [ო] | 600 |
| 25 | Չ | ჩა | [ჩ] | 700 | 25 | Չ | ჩა | [ჩ] | 700 |
| 26 | Պ | პე | [პ] | 800 | 26 | Պ | პე | [პ] | 800 |
| 27 | Ջ | ჯე | [ჯ] | 900 | 27 | Ջ | ჯე | [ჯ] | 900 |
| 28 | Ռ | რა | [რ̄] | 1000 | 28 | Ռ | რა | [რ̄] | 1000 |
| 29 | Ս | სე | [ს] | 2000 | 29 | Ս | სე | [ს] | 2000 |
| 30 | Վ | ვევ | [ვ] | 3000 | 30 | Վ | ვევ | [ვ] | 3000 |
| 31 | Տ | ტჳნ | [ტ] | 4000 | 31 | Տ | ტჳნ | [ტ] | 4000 |
| 32 | Ր | რე | [რ̄] | 5000 | 32 | Ր | რე | [რ̄] | 5000 |
| 33 | Ց | ცო | [ც] | 6000 | 33 | Ց | ცო | [ც] | 6000 |
| 34 | Ւ | ჳნ | [ი̂უ] | 7000 | 34 | Ւ | ჳნ | [ი̂უ] | 7000 |
| | ՈՒ | | [უ] | | | ՈՒ | | [უ] | |
| 35 | Փ | ფჳრ | [ფ] | 8000 | 35 | Փ | ფჳრ | [ფ] | 8000 |
| 36 | Ք | ქე | [ქ] | 9000 | 36 | Ք | ქე | [ქ] | 9000 |
| | | | | | 37 | ԵՎ | | [ევ] | |
| | | | | | 38 | Օ | ო | [ავ] | |
